



ჭიპიანი

პენის სანაზღაურო ჯგუფი



პოლისი კომფორტი

დაზღვევის პირობები

POLICY COMFORT INSURANCE

TERMS AND CONDITIONS

პოლისის კომფორტის პირობები ითვალისწინებს დამზღვევის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების განადგურების/დაზიანებისგან დაზღვევას წინამდებარე პირობებით და მის საფუძველზე გაცემული პოლისით განსაზღვრული პირობებითა და წესით.
 THE TERMS AND CONDITIONS OF POLICY "COMFORT" IMPLIES THE INSURANCE OF THE PROPERTY BEING IN THE OWNERSHIP/USAGE OF THE POLICYHOLDER AGAINST ANY DAMAGE/LOSS UNDER THE PRESENT TERMS AND CONDITIONS AND THE POLICY ISSUED BASED ON IT.

1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება (პოლისი, ხელშეკრულება)** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის (ბეჭდური ან/და ელექტრონული დოკუმენტი), რომელიც ძალაში შესვლისთანავე უფლებას განიჭებთ მოითხოვოთ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის წინამდებარე პირობებისა და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის შესაბამისად; სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც გააჩნია დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების ინტერესი კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე (მესაკუთრე, მოიჯარე, დამკირავებელი და ა.შ.). დაზღვეულ ქონებაზე თქვენი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება;
- 1.2. **ჩვენ, მზღვეველი** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი"; იურიდიული მისამართი: კოსტავას 67, თბილისი, საქართველო; საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674;
- 1.3. **თქვენ, დამზღვევი** - პირი, რომელიც მითითებულია პოლისში როგორც დამზღვევი და აფორმებს ხელშეკრულებას მზღვეველთან; დამზღვევად შეიძლება განისაზღვროს დაზღვეული ქონების მესაკუთრე, მესაკუთრის მეუღლე, შვილი, შვილისშვილი, და/მმა;
- 1.4. **მოსარგებლე** - დაზღვეული ქონების მესაკუთრე, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.5. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი, რომელიც განსაზღვრულია პოლისში;
- 1.6. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში. დაზღვევა ძალაში შედის დაწყების თარიღის 24:00-ზე და სრულდება დასრულების თარიღის 24:00-ზე;
- 1.7. **სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე პირობებით და პოლისი-ხელშეკრულებით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ქონების დაზიანება/განადგურება, მითითებულია პოლისში და შეიძლება გახდეს ჩვენი მხრიდან ანაზღაურების გაცემის საფუძველი;
- 1.8. **დაზღვეული ქონება** - ქონება, რომლის მიმართაც ხორციელდება წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა. დაზღვევა გავრცელდება მხოლოდ შიდა მოპირკეთებასა და შიგთავსზე (ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე); თუ შიგთავსის რომელიმე ერთეული ობიექტის ღირებულება აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებულ ოდენობებს, აღნიშნული ობიექტების ჩამონათვალი მითითებული უნდა იყოს სადაზღვევო პოლისში ან მის დანართში და დამოწმებული იყოს ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის და თქვენ მიერ. აღნიშნული შიგთავსის ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თითოეული დასაზღვევი ერთეულის მოდელის/ მარკის, გამოშვების თარიღისა და ღირებულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ უარი განვაცხადოთ აღნიშნული ობიექტებისათვის სადაზღვევო ანაზღაურებაზე;
- 1.9. **სადაზღვევო შემთხვევაზარალი** - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება მხოლოდ დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;
- 1.10. **დაზღვევის მოქმედების არეალი** - პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება;
- 1.11. **ფრანშიზა** - თანხის ოდენობა, რომელიც არ ანაზღაურდება (აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას) ჩვენ მიერ და მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში;
- 1.12. **სადაზღვევო პრემია (პრემია)** - დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია პოლისში;
- 1.13. **შიგთავსი** (ავეჯი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები) - ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურა, სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები,

1. Definitions of terms

- 1.1. **Insurance Policy-Agreement (policy, agreement)** – implies the agreement signed between **Us**, which upon entry into force entitles **You** to claim for the insurance indemnity upon occurrence of an insurance accident, in accordance with the Terms and Conditions of insurance and the policy issued based on it; The policy-insurance agreement shall be signed only in favor of the person who has the legal interest to preserve and maintain the property on the basis of the legislation or other legal act or agreement (owner, lessee). In case of absence of the legal interest in respect of the insured property, the insurance policy-agreement shall be deemed null and void;
- 1.2. **We, the Insurer** – JSC "Insurance Company GPI Holding" (hereinafter - Insurance Company, Insurer); ID: 204426674, Add: Kostava St. N67, Tbilisi, Georgia ;
- 1.3. **You, the Policyholder** – the person listed in the policy as the Policyholder, who signs an agreement with the Insurer; the owner of the Insured Property, the spouse of the insured, the child, the grandson (granddaughter), the sister/brother may be identified as the Policyholder;
- 1.4. **Beneficiary** – owner of Insured Property, authorized to receive insurance indemnity in accordance with the insurance agreement and the current legislation of Georgia;
- 1.5. **Insurance amount/ indemnity limit** – the maximum indemnity limit specified in the insurance policy-agreement, under which the Insurer upon occurrence of the insured event(s) indemnifies the loss;
- 1.6. **Insurance period** – the validity term of the insurance as specified in the relevant insurance policy. The insurance begins at 24:00 on the start date and ends at 24:00 on the end date;
- 1.7. **Insured risk** – an unexpected event defined by the present Terms and Conditions of Insurance and by the policy-agreement that may result in damage/destruction of Insured Property, which is specified in the policy and may be the subject to indemnification by the insurance company;
- 1.8. **Insured Property** – the property for which insurance is provided under the present Terms and Conditions of Insurance: The insurance will include only the interior lining and contents (furniture and household appliances); If the value of any item of the contents exceeds the amounts specified in Annex #1 to this Agreement, a list of such items must be indicated in the insurance policy or its appendix and certified by **Our** authorized representative and **You**. The list of such items must necessarily contain information about the model/brand, date of issue and value of each insured item. Otherwise, **We** are entitled to refuse insurance indemnity for such items;
- 1.9. **Insurance accident** – an accident occurred within the insured risks, on the basis of which the Policyholder may bring a claim for the insurance indemnity under the present Terms and Conditions of Insurance and the policy-agreement. Only losses incurred as a result of the occurrence of an insured risk that occurred during the insurance period are considered an insured event;
- 1.10. **Territorial scope of insurance** - the address specified in the policy where the Insured Property is placed/located;
- 1.11. **Deductible** – the amount not subject to reimbursement (will be deducted from indemnification) by the insurance company and specified in the relevant insurance policy;
- 1.12. **Insurance premium (premium)** – the cost of insurance/ insurance service provided by the present Terms and Conditions of Insurance, specified in the relevant insurance policy-agreement;
- 1.13. **Contents** (furniture and household items) – TV-video-audio equipment, washing machines, refrigerators, vacuum cleaners,

<p>გათბობა-გაგრილების საშუალებები და მოწყობილობები, გაზის და ელექტრო-დუმილები, სპორტული მოწყობილობები, გენერატორები, კომპიუტერული ტექნიკა; თმის გამაშრობლები, სამზარეულოს მოწყობილობები - მიქსერები, კომბაინები, მადულარები;</p> <p>1.14. შიდა მოპირკეთება - კედლების შპალერი და/ან სხვა ტიპის საფარი, დაკიდული ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კარები და/ან მათი საკეტები და მიწები;</p> <p>1.15. სრული ზარალი - დაზღვეული ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯი მისი რემონტისთვის და აღდგენისთვის აღემატება მისი რეალური ღირებულების 75%-ს.</p>	<p>heating-cooling devices, gas and electric stoves, sports equipment, generators, computer equipment; hair drying equipment, kitchen appliances— mixers, combines, heater devices;</p> <p>1.14. Interior facing –wallpaper and/or other type of covering, hanging ceiling, floor, windows, doors and/or its locks and glass;</p> <p>1.15. Total damage – the Insured Property may be considered completely destroyed if the costs of its repair and restoration exceed 75% of the real value.</p>
<p>2. სადაზღვევო დაფარვა</p> <p>ჩვენ ავანაზღაურებთ დაზღვეული ქონების დაზღვეული რისკებით გამოწვეულ ზარალს.</p> <p>2.1. ანაზღაურდება:</p> <p>2.1.1. მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;</p> <p>2.1.2. კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის და/ან ელექტრო-გაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;</p> <p>2.1.3. ხანძრით, კვამლით და/ან აფეთქებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;</p> <p>2.1.4. სტიქიური უბედურებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება, კერძოდ, სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ჰაერის მასების მოძრაობა 20 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში;</p> <p>2.1.5. ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა, მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს დაზღვეულ ფართში შეღწევის კვალი;</p> <p>2.1.6. მესამე პირის ვანდალური ქმედებით ქონების დაზიანება ან განადგურება (ნებისმიერი პიროვნება, გარდა თქვენი ან მოსარგებლის ოჯახის წევრების და/ან დაზღვეულ საცხოვრებელ ფართში მცხოვრები ნებისმიერი პირი);</p> <p>2.1.7. დაზღვეული ფართის გარეთ მდებარე სხვადასხვა საგნის დაცემით გამოწვეული დაზღვეული ქონების დაზიანება;</p> <p>2.1.8. იმ შემთხვევაში, თუ შენობა (რომელშიც განთავსებულია დასაზღვევი ობიექტი) აშენებულია 1950 წლამდე ან დაზღვეული ქონება არის ავარიულ მდგომარეობაში - დაფარულ რისკს წარმოადგენს მხოლოდ ხანძარი, აფეთქება, ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;</p> <p>2.2. არ ანაზღაურდება</p> <p>2.2.1. დაზღვევის ძალაში შესვლამდე დამდგარი ზარალი ან ზიანი;</p> <p>2.2.2. ელექტროგაყვანილობის, გათბობის, გაზგაყვანილობის, კანალიზაციის მოხმარების ჩვეულებრივი ნორმების დაუცველობით მიყენებული ზიანი;</p> <p>2.2.3. ცვეთადი ნაწილების შეცვლის ხარჯები, ისეთი, როგორიცაა: ფილტრები, საფენები, რეზინები, რეზინის მილები, ნათურები, დამცველები, კაბელები და ელექტროსადენები, რომლებიც არ წარმოადგენენ შიდა მოპირკეთების ელემენტებს თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;</p> <p>2.2.4. ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული ქონების მწყობრიდან გამოსვლით (მათ შორის ელექტროენერჯის ცვალებადობით) მიყენებული ზიანი;</p> <p>2.2.5. ზარალი ან დაზიანება გამოწვეული დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა თერმული დამუშავების შედეგად;</p> <p>2.2.6. არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად;</p> <p>2.2.7. ჩვენ არ ავანაზღაურებთ ზარალს, გამოწვეულს დაზღვეულ ფართში ან ნაგებობაში წვიმის, თოვლის და სეტყვის შეღწევისას ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ასევე ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარ განზრახვლად ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;</p> <p>2.2.8. არ ანაზღაურდება აივნისთვის წვიმით, სეტყვით, წყალდიდობით მიყენებული ზიანი ან ზარალი;</p> <p>2.2.9. მეხის დაცემით გამოწვეული ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება ხანძრის წარმოშობის გარეშე;</p> <p>2.2.10. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო სართულზე და ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც გამოწვეული იყო დაზღვეული რისკითა და შენობის სახურავის დაზიანებით, ჩვენ არ ავანაზღაურებთ ნებისმიერ მომდევნო ზარალს ან ზიანს, თუ უკვე</p>	<p>2. Insurance Coverage</p> <p>The Insurer will indemnify the damages of or loss to the Insured Property arising from insured risks:</p> <p>2.1 Subject to reimbursement:</p> <p>2.1.1 Damage or destruction of Insured Property by water leak from the neighbouring area;</p> <p>2.1.2 Damage or destruction of Insured Property by the disorder of sewage and/or water supply, electrical wiring and/or heating systems;</p> <p>2.1.3 Damage or destruction of Insured Property by fire, smoke and/or explosion;</p> <p>2.1.4 Damage or destruction of Insured Property as a result of a natural disaster, in particular, hail, flooding, earthquake, air mass movement at a speed exceeding 20 m/s caused by natural processes in the atmosphere;</p> <p>2.1.5 Theft, robbery, burglary, only in cases if there are traces of penetration to the insured area;</p> <p>2.1.6 Damage or destruction of property caused by the malicious actions of a third party (any person other than Your family members or members of the Beneficiary's family and/or any person living in an insured living area);</p> <p>2.1.7 Damage of the insured property caused by falling of various items on the property from objects located outside;</p> <p>2.1.8 In case if the building is constructed before 1950 the covered risks include only fire, explosion, theft, robbery, burglary, vandalism;</p> <p>2.2 Not subject to Reimbursement</p> <p>2.2.1 Damage or loss occurred before the effective date of insurance;</p> <p>2.2.2 Damage caused by non-compliance with the standard norms of use of electrical wiring, heating, gas pipeline, sewerage;</p> <p>2.2.3 Replacement costs for wearing parts such as: filters, gaskets, rubber, rubber pipes, lamps, fuses, cables and electrical wires that are not internal lining components unless caused by accident;</p> <p>2.2.4 Damage occurred by breakdown of insured property (including voltage fluctuations);</p> <p>2.2.5 Damage or loss caused by fire / heat or other thermal treatment of Insured Property;</p> <p>2.2.6 Damage occurred as the result of continuous impact of smoke;</p> <p>2.2.7 penetration of snow, hail or water into the Insured Property through windows or doors, also, from other holes made deliberately or generated as the result of obsolescence or construction defect;</p> <p>2.2.8 Damage or loss to the balcony by rain, hail, flooding;</p> <p>2.2.9 Damage to electronic equipment or installation caused by lightning without causing a fire;</p> <p>2.2.10 If the insured area is located on the top floor of the building and the Insurer has compensated for damage arising from insured risks related to roof damage, the Insurer will not provide</p>

<p>ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება;</p> <p>2.2.11. არ ანაზღაურდება ქურდობა / ძარცვა / ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი თუ დაზღვეული ქონება მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;</p> <p>2.2.12. არ ანაზღაურდება ზარალი ან ზიანი თუ ქონება დაიკარგა დაუდგენელ ვითარებაში, და/ან გაუჩინარდა;</p> <p>2.3. გთხოვთ, დაწვრილებით გაეცნოთ ზემოთმოყვანილი დაზღვეული რისკების ჩამონათვალს. ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევებისა და მხოლოდ ზემოთმოყვანილი ქონების მიმართ მიყენებულ ზარალს. ამ პირობების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევებად ითვლება მხოლოდ ის მოვლენები, რომელიც დადგა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ და არაუგვიანეს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღისა.</p> <p>2.4. დამატებითი დაფარვა - მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა</p> <p>2.4.1. მესამე პირთა მიმართ წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა: თქვენ მიერ დაზღვეული ქონების არასათანადოდ ან/და დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად წარმოქმნილი ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირთა ქონებას;</p> <p>2.4.2. ჩვენ პასუხისმგებლობა მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში (თუ აღნიშნული დაფარვა არის შეძენილი) განისაზღვრება შესაბამის პოლისში მითითებული ლიმიტის/ სადაზღვევო თანხის ფარგლებში;</p> <p>2.4.3. 2.4 პარაგრაფისათვის გამოწვევის წარმოადგენს მესამე მხარისათვის მიყენებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზიანი იჯარით, გიაროთი, ლიზინგით აგებული და/ან ნაქირავები ქონებისათვის; • ზიანი, გათვალისწინებული რაიმე სხვა ხელშეკრულებით, ნებისმიერი სახის ჯარიმა; • ნებისმიერი სახის მორალური ზიანი; • ავეჯის/ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომლის წლოვანებაც აღემატება 50 წელს. 	<p>reimbursement for subsequent damages or loss if the damaged roof has not been repaired following the initial reimbursement;</p> <p>2.2.11 Damage caused by theft / robbery / burglary if the Insured Property is left unattended for a period exceeding 30 calendar days;</p> <p>2.2.12 No damages or loss are subject to indemnification if the property is lost in unspecified circumstances or in case of disappearance;</p> <p>2.3 Please read the aforementioned list of insured risks carefully. We will only cover insurance accidents and incurred damage to the property specified above. Under the present Terms and Conditions, only those events that occurred after the expiration of 14 calendar days from the effective date of the insurance provided for by the policy and not later than the end of the insurance period specified in the policy are considered to be the insurance accidents.</p> <p>2.4 Additional Coverage - Third Party Liability Insurance</p> <p>2.4.1 Third Party Liability Insurance: Losses caused by fire, explosion or flood to the property of third parties resulting from improper and/or negligent possession and disposal of the insured property by You;</p> <p>2.4.2 Our liability in the event of damage caused to a third party (if such coverage is purchased) is determined within the limits of liability specified in the relevant policy;</p> <p>2.4.3 Exclusions to paragraph 2.4 are:</p> <ul style="list-style-type: none"> • Damage to property built and/or rented under a lease, mortgage, leasing; • Damage provided for by any other agreement, any kind of penalty; • Moral damage of any kind; • For furniture/property that is over 50 years old.
<p>3. სადაზღვევო ანაზღაურება</p> <p>3.1. ზარალის სიდიდე განისაზღვრება ჩვენი და თქვენი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით;</p> <p>3.2. სადაზღვევო შემთხვევის დასადასტურებლად, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ კომპეტენტური ორგანოების (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის, საქართველოს სახანძრო დეპარტამენტის, საავარიო მომსახურების, პოლიციის, საგამომებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა) მიერ გაცემული დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ არ ავანაზღაუროთ ზარალი;</p> <p>3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს ამ პოლისი-ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა აღდგენითი ღირებულების შესაბამისად, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში. აღდგენის ხარჯების გამოთვლისას არ იქნება გათვალისწინებული ქონების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ხარჯები;</p> <p>3.4. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, ჩვენ დავეყრდნობით სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავეჯის / საყოფაცხოვრებო ტექნიკის საბაზრო ღირებულებას - ამასთან, ანაზღაურება თითოეული ერთეული საყოფაცხოვრებო ტექნიკის / ავეჯისათვის არ გადააჭარბებს შესაბამისი ერთეულის რეალურ ღირებულებას და ასევე არ გადააჭარბებს დანართ #1-ში მოცემულ ლიმიტებს;</p> <p>3.5. თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ დამატებით იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც გასურთ, რომ დაექვემდებაროს დაზღვევას და არ არის მითითებული წინამდებარე დანართ #1-ში ან დანართში მითითებული ლიმიტი ნაკლებია დასაზღვევი ობიექტის რეალურ ღირებულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფლება უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან გავცეთ ანაზღაურება წინამდებარე დანართში მითითებული ლიმიტის ფარგლებში შესაბამისი ერთეულისათვის.</p> <p>3.6. ჩვენ ავანაზღაურებთ</p>	<p>3. Insurance Indemnification</p> <p>3.1 The amount of damage is determined on the basis of the mutual agreement of the insurance company and the Policyholder, taking into account the average market prices prevailing at the time of the damage;</p> <p>3.2 In order to confirm the insurance accident, the Insurer is authorized to request documents issued by the competent authorities (Hydro-meteorological Department of Georgia, Fire Department of Georgia, Emergency Service authorities, Police, Investigation agencies, court, etc.). In case if the above mentioned documents are not submitted, the Insurer is authorized not to reimburse for the damage;</p> <p>3.3 In case of an insurance accident, We shall indemnify the damage in accordance with the terms of this policy-agreement. Insurance indemnity will be issued based on the recovery cost, within the indemnity limit specified in the policy. The recovery costs will not include the costs required to improve the pre-insurance status of the property;</p> <p>3.4 In the event of damage of furniture and household appliances as a result of the insurance event, We will refer to the market value of furniture/household appliances prevailing by the time of the insurance event – however, the reimbursement for each household appliances/furniture unit will not exceed the actual value of the relevant unit, nor will it exceed the limits given in Annex #1;</p> <p>3.5 You must additionally provide Us with a list of items that You would like to be reimbursed that are not listed in this Annex #1, or in case if the limit specified in the Annex is less than the actual value of the insured object. Otherwise, We may refuse reimbursement or indemnify within the limit set forth in this Annex for the unit concerned.</p> <p>3.6 We will indemnify</p>

<p>3.6.1. სრული ზარალის შემთხვევაში - ქონების აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით);</p> <p>3.6.2. ქონების ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში - მის აღსადგენად/შესაკეთებლად საჭირო დანახარჯებს, მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით);</p> <p>3.6.3. ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, ჩვენი შეხედულებისამებრ გადავიხდით ქონების აღდგენით ღირებულებას ან ჩავანაცვლებთ დაზიანებულ ან განადგურებულ ქონებას იგივე ტიპის ქონებით ცვეთისა და ფრანშიზის მოკლებით;</p> <p>3.6.4. აღდგენის დანახარჯები მოიცავს სარემონტო სამუშაოებს (მასალის, ტრანსპორტირებისა და მუშა-ხელის ჩათვლით), სათადარიგო ნაწილებს, ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად;</p> <p>3.6.5. დანახარჯები აღდგენაზე არ მოიცავს დამატებით დანახარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ობიექტის ცვლილებით ან გაუმჯობესებით;</p> <p>3.6.6. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებული საბაზრო ფასების საფუძველზე;</p> <p>3.6.7. თქვენი კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხას აკლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრემიის გადაუხდელი ნაწილი.</p>	<p>3.6.1 In case of total loss – the cost of restoration or replacement of property, but not more than the insured amount/limit provided by the policy (subject to deductible specified in the policy);</p> <p>3.6.2 In case of partial loss of property – expenses necessary for its restoration/repair, but not exceeding the sum insured/limit of indemnification specified in the policy (subject to deductible specified in the policy);</p> <p>3.6.3 In the event of damage or destruction of property, We shall, at Our sole discretion, indemnify You the cost of restoration of property or replace damaged or destroyed property with property of the same type, deducting its wear and tear and deductible;</p> <p>3.6.4 Recovery costs include repairs (including material, transportation and labour), spare parts, any other costs necessary to restore the status of the property existing prior to the insurance accident;</p> <p>3.6.5 Recovery costs shall not include additional costs caused by any changes or improvements to the insured property;</p> <p>3.6.6 Recovery costs are calculated based on market prices prevailing at the time of the insurance accident;</p> <p>3.6.7 The unpaid part of the premium provided for by the Agreement shall be deducted from the amount of insurance indemnity.</p>
<p>4. საერთო გამონაკლისები</p> <p>ჩვენ არ ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც წარმოქმნილია ან უკავშირდება ამ გამონაკლისებში მითითებულ მოვლენებს:</p> <p>4.1. ომი, შემოჭრა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, აჯანყება, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, ლოქაუტის, სამხედრო ან უზურპირებული ძალის, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით მოქმედი პირის მოქმედება; ნებისმიერი ტერორისტული აქტი ან მისი მცდელობა;</p> <p>4.2. კონფისკაცია, რეკვიზიცია, დაპატიმრება ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება;</p> <p>4.3. დაზღვეული ქონების დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება ბუნებრივი პროცესების შედეგად; საყოფაცხოვრებო ტექნიკის ამორტიზაცია, ცვეთა. მიმდინარე რემონტის ხარჯები, კოროზია, ეროზია, ჭანგვა, ნალექების დაგროვება, დანესტიანება;</p> <p>4.4. მშენებლობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ან მათი ნაწილის ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს არ იქნება გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;</p> <p>4.5. მიწისძვრით გამოწვეული ზიანი, თუ დაზღვეული ქონების დაზიანება/ განადგურება გამოიწვია მიწისძვრამ, რომლის სიძლიერეც ნაკლებია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის სკალით;</p> <p>4.6. ზარალი, რომელიც გამოიწვევს შინაურმა ცხოველებმა/ფრინველებმა, ქვეწარმავლებმა, მწერებმა, მღრღნელებმა ან სხვა მავნებლებმა ან დადგა შემდგომში, მათი ზემოქმედების შედეგად;</p> <p>4.7. ზარალი გამოწვეული თქვენი, თქვენი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან თქვენთან ერთად მცხოვრები პირის პროფესიული საქმიანობით;</p> <p>4.8. ზარალი ან დაზიანება გამოწვეული: ნარკოტიკული/ ფსიქოტროპული/ ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით;</p> <p>4.9. ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედება;</p> <p>4.10. ზარალი ან დაზიანება, გამოწვეული თქვენი (მოსარგებლის), თქვენი ოჯახის წევრების, ასევე პირების, რომლებიც ცხოვრობენ დაზღვეულ ნაგებობაში განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგში: დაზღვეული ქონების გამოყენება სხვა მიზნით (ვიდრე მითითებულია სადაზღვევო პოლისში) და/ან დადგენილი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის და სახანძრო უსაფრთხოების, სამუშაოების უსაფრთხო ჩატარების, სამშენებლო ნორმების, წესების და ინსტრუქციების დარღვევა ექსპლუატაციის რეგლამენტების, ელექტრო/გაზის ხელსაწყოების, გასათბობი მოწყობილობების შენახვის/მოხმარების პირობების დარღვევა, ასევე დაზღვეული ქონების გამოყენება სხვა მიზნით და ა.შ.</p> <p>4.11. საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის დეფექტები ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები;</p>	<p>4. General Exclusions</p> <p>We will not indemnify any damage arising out of or relating to the events set forth in these exclusions:</p> <p>4.1 War, invasion, hostilities, civil war, revolution, rebellion, civil unrest, strike, lockout, actions of a person of military or usurped force, a political organization; any terrorist act or attempt;</p> <p>4.2 Confiscation, requisition, seizure or destruction of Insured Property by order of state authorities;</p> <p>4.3 Damage of Insured Property caused by natural processes, depreciation, wear of household appliances, costs for ongoing repairs, corrosion, erosion, rust, precipitation accumulation, dampness;</p> <p>4.4 Destruction or damage of buildings, structures or parts thereof, as well as the existing property or part, unless it is caused within the insurance risks;</p> <p>4.5 Earthquake, if damage/destruction is caused by the earthquake of less than 4.0 magnitude on Richter scale;</p> <p>4.6 Damage caused by pets/birds, reptiles, insects, rodents or other pests, or subsequently caused by exposure to them;</p> <p>4.7 Damage caused by the professional activities of the Policyholder, his representative, a family member or a person living with him / her;</p> <p>4.8 Damage or loss caused by the action of the Policyholder, his representative, a family member or a person living with him/her under the impact of narcotic/psychotropic/alcohol substances;</p> <p>4.9 Fraudulent actions committed by any person;</p> <p>4.10 Damage or loss caused by wilful act or gross negligence of You (the Beneficiary), Your family members, and those living in the Insured Property, in the following cases: Use of the Insured Property for other purposes (rather specified in the insurance policy) and/or violation of any rules and instructions established by law or other normative act and fire safety, safe conduct of work, violation of the conditions of operation regulation, conditions of storage of electric/gas appliances, heating appliances, and use of Insured Property for other purposes, etc.</p> <p>4.11 Manufacturer defects in home appliances or expenses covered under the warranty issued by the supplier;</p>

<p>4.12. ელექტრონული ინფორმაციის, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა არა-მატერიალური აქტივების (მაგ. კომპიუტერის მყარ დისკზე არსებული ინფორმაცია და სხვ) აღდგენის ხარჯები;</p> <p>4.13. ზარალი ან ზიანი, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე; ან გამოწვეულია მოვლენით, რომელიც მოხდა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე;</p> <p>4.14. ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება დაზღვეულ ქონებაში სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის შეკეთებითი სამუშაოების შედეგად;</p> <p>4.15. მშენებლობის, ნაგებობის ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამოწვეულია მშენებლობის საინჟინრო/საპროექტო ან სხვაგვარი დეფექტით და გამოვლინდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;</p> <p>4.16. ფანჯრის მინების, სარკეების, ვიტრინების და სხვა შუშის ნაწილების მსხვრევა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ასეთი დაზიანება/მსხვრევა არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკით;</p> <p>4.17. ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება გამოწვეული იმ რისკების შედეგად, რომელიც არ არის მითითებული დაზღვეული რისკების ჩამონათვალში;</p> <p>4.18. დაზღვეული ქონების ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანება ან/და მწყობრიდან გამოსვლა;</p> <p>4.19. არაპირდაპირი ზიანი/ზარალი, გამოწვეული დაზღვეული რისკების შედეგად;</p> <p>4.20. თქვენი მხრიდან წინამდებარე პირობებითა და პოლისი-ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;</p> <p>4.21. სადაზღვევო შემთხვევის პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა;</p> <p>4.22. სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა დაზღვეული ქონების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის დროს;</p> <p>4.23. არ ანაზღაურდება განმეორებითი ზარალი, გამოწვეული იგივე ქონებისათვის იგივე სადაზღვევო შემთხვევით, რაც წინა სადაზღვევო შემთხვევა - თუ თქვენ არ წარმოადგენთ დასტურს, რომ წინა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი იქნა გამოსწორებული / შეკეთებული / გარემონტებული / აღდგენილი;</p>	<p>4.12 The cost of recovering information and/or software and/or any Intangible assets (e.g., information on the computer hard drive, etc.);</p> <p>4.13 Damage or loss occurring prior to the insurance period provided for by the insurance policy; or caused by an event occurring prior to the insurance period;</p> <p>4.14 Damage or loss that is caused by repair works of Insured Property or other type of renovation works;</p> <p>4.15 Destruction or damage of the building, structure or part thereof, as well as the damage of existing property in it, if it is caused by an engineering or other defect of construction/design and has been revealed upon occurrence of an insurance accident;</p> <p>4.16 Breaking of windows, mirrors, windows and other glass parts if such damage/breaking is not due to the insured risk;</p> <p>4.17 Damage or loss of any kind caused by those risks which are not listed in the insured risks;</p> <p>4.18 Any mechanical damage and/or breakdown of the Insured Property;</p> <p>4.19 Indirect damage caused by insured risks;</p> <p>4.20 Failure of the Policyholder to comply with the obligations imposed on him by these terms and the policy-agreement;</p> <p>4.21 Provoking, fraud of an insurance event, or presenting forged documents;</p> <p>4.22 An insurance accident that occurred while the Insured Property was being unattended for a period exceeding 30 calendar days;</p> <p>4.23 Repeated losses caused to the same property by the same insured event as the previous insured event will not be compensated - unless you provide proof that the damage caused by the previous insured event has been repaired / repaired / rehabilitated / restored;</p>
<p>5. დაზღვევას არ ექვემდებარება</p> <p>5.1. ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;</p> <p>5.2. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ;</p> <p>5.3. ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი; ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულის, ზოდის, ქვიშის, თვითნაბადი სახით და ძვირფასი ქვები დამუშავების და მოჭედვის გარეშე; ანტიკვარიატი, მათ შორის ავეჯი, რომლის ასაკი აღემატება 50 წელს, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, და სხვა სახის კოლექცია, ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;</p> <p>5.4. კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული ინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები (დისკები, კასეტები, მეხსიერების ბარათები და ა.შ.);</p> <p>5.5. საბრძოლო მასალა, იარაღი, და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები;</p> <p>5.6. გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რაც გამოიყენება ელექტრო ენერჯის ან ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის გადასაცემად;</p> <p>5.7. ცხოველები; ფრინველები; ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები;</p> <p>5.8. ავტო- სატრანსპორტო საშუალებები;</p> <p>5.9. ანემები, ანტენები, ღია ელექტრომაგვთულები, ტენტები და სხვა შენობა/ნაგებობის გარეთა მხარეს მდებარე ქონება (აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება შენობა ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა/გაგრილების სისტემებს);</p> <p>5.10. კვების პროდუქტები;</p> <p>5.11. ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ არ გეკუთვნით თქვენ/მოსარგებლეს და/ან არ არის მითითებული პოლისი - ხელშეკრულების შესაბამის დანართში;</p>	<p>5. Not Subject to Indemnification</p> <p>5.1 Cash, shares, bonds and other securities, manuscripts, photographs, negatives, schemes, drawings and other documents, business books and the information contained therein;</p> <p>5.2 Models, layouts, samples, shapes, etc.;</p> <p>5.3 Precious metals; precious, semi-precious and finishing stones; precious and rare metals in the form of wire, bullion, sand, native (virgin) metal; and precious stones without processing and embossing; antiques, including furniture over 50 years of age, a collection of stamps, coins, banknotes and other kinds of collection, as well as drawings, paintings, sculptures and other art samples;</p> <p>5.4 Computer and other technical information tools (magnetic block, tape, information block and others) and other media, computer programs, temporary storage and transfer means of electrical information (disks, cassettes, memory cards, etc.);</p> <p>5.5 Combat materials, weapons, explosives;</p> <p>5.6 Transmission and distribution lines, Used to transmit electrical energy or any type of information;</p> <p>5.7 Animals; birds; seedlings, plantings;</p> <p>5.8 Aly types of vehicles;</p> <p>5.9 Masts, antennas, exposed electrical wires, tents and other property outside buildings/structures (this exception does not apply to heating/cooling systems outside the building/facility);</p> <p>5.10 Food products;</p> <p>5.11 Property located in the insured territory, but not owned by the Policyholder or the person living at the insured address, and/or not specified in the relevant appendix of the policy-agreement;</p>

<p>5.12. დაზღვეულად არ ჩაითვლება და შესაბამისი ზარალი არ ანაზღაურდება ისეთი შენობების და ნაგებობებისათვის, ასევე იქ განთავსებული ქონებისათვის, თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად;</p> <p>5.13. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით; ავტოფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;</p> <p>5.14. მხატვრულად დამუშავებული მინები;</p> <p>5.15. საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა ასაკი აღემატება 8 წელს;</p> <p>5.16. ქონება რომელიც განთავსებულია შენობაში, რომლის წლოვანება აღემატება 55 წელს. (გარდა შემთხვევებისა, როდესაც სადაზღვევო პოლისში მითითებულია სპეციალური კომენტარში ამის შესახებ).</p>	<p>5.12 Those buildings and facilities, as well as the property placed in it, shall not be subject to insurance if they are recognized as emergency building by the competent state authorities;</p> <p>5.13 The property not used for domestic purposes; car garage, shed, swimming pool, garden, fences, gates, property shared by neighbours in a residential house, economic facilities or any construction not intended for residence;</p> <p>5.14 Painterly processed glass;</p> <p>5.15 Household appliances over 8 years of age;</p> <p>5.16 Property placed in a building over 55 years of lifetime (unless otherwise specified by the Insurer in the insurance policy in a special commentary);</p>
<p>6. სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი</p> <p>6.1. სადაზღვევო თანხა შემცირდება ჩვენს მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული ფრანშიზის ოდენობით. სადაზღვევო თანხა შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;</p>	<p>6. Sum Insured / Limit of indemnification</p> <p>6.1 The Sum Insured shall be reduced by all indemnified amounts and Deductible used by Us. The sum insured / limit of indemnification will be reduced from the moment of the insured event;</p>
<p>7. სადაზღვევო ტერიტორია</p> <p>7.1. ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მხოლოდ სადაზღვევო პოლისში მითითებულ მისამართზე (სადაზღვევო ტერიტორიაზე) განლაგებულ ნაგებობებში (საცხოვრებელ სახლებში). დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების შემთხვევაში სადაზღვევო ხელშეკრულება აღარ იმოქმედებს.</p>	<p>7. Insurance Territory</p> <p>7.1 The property will be considered as insured only in buildings (residential buildings) located at the address specified in the insurance policy. If the Insured Property will be transferred to another territory, the insurance agreement will no longer be valid.</p>
<p>8. სადაზღვევო პრემია</p> <p>8.1. თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით; თუ პრემიის გადახდის ვადას გადააცილებთ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, ჩვენ უფლება გვაქვს შევაჩეროთ სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება თქვენთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ ავანაზღაუროთ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები. ხოლო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ უფლება გვაქვს გავაუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.</p>	<p>8. Insurance Premium</p> <p>8.1 You shall pay the premium as per schedule specified in the policy; If premium payment is overdue by 14 (fourteen) calendar days, We are entitled to suspend the insurance agreement without notifying the Policyholder and not to indemnify any losses. After thirty (30) calendar days of delay, We may cancel the insurance agreement without any prior notice. In case of payment of overdue premium before cancellation of insurance agreement, the agreement will be resumed with the same validity period, although the insurance accident arising during the period of indebtedness are not subject to reimbursement.</p>
<p>9. სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების მოქმედების ვადა</p> <p>9.1. სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების მოქმედების ვადა მითითებულია პოლისში;</p> <p>9.2. სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანის (განვადების შემთხვევაში), ან მთლიანი თანხის გადახდისას, მაგრამ არა პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დაწყების თარიღის 24:00 საათზე ადრე.</p>	<p>9. Term of the Insurance Policy-Agreement</p> <p>9.1 The term of the insurance policy- agreement is specified in the policy;</p> <p>9.2 The insurance agreement shall be valid after the payment of first instalment of the premium (in case of instalments), or upon the entire payment, but not earlier than 24:00 hours of the effective date of the insurance period specified in the policy.</p>
<p>10. პოლისი-ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>10.1. სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისას;</p> <p>10.2. დაზღვეული ქონება აღარ არსებობს სადაზღვევო შემთხვევისაგან დამოუკიდებელი მიზეზით;</p> <p>10.3. თქვენ განზრახ გამოიწვიეთ საფრთხის გაზრდა ან დროულად არ შეგატყობინეთ საფრთხის გაზრდის შესახებ;</p> <p>10.4. თქვენ მიერ დამალულია, ან არასწორადაა მოწოდებული, ან მოწოდებულია გაყალბებული ინფორმაცია - ასეთ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე;</p> <p>10.5. ჩვენი მხრიდან თქვენ მიმართ მთლიანი ვალდებულების შესრულებისას (ვალდებულების შესრულების მომენტიდან);</p> <p>10.6. დამზღვევის გარდაცვალებისას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დაზღვეულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადადის სხვა პირზე;</p> <p>10.7. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;</p>	<p>10. Termination of the Policy-Agreement</p> <p>The policy-agreement shall be terminated in the following cases:</p> <p>10.1 Upon expiration of the insurance policy-agreement;</p> <p>10.2 Insured Property no longer exists for reasons beyond the insured accident;</p> <p>10.3 You have intentionally caused an increase of the insured risk or have not informed Us in a timely manner of the increased threat;</p> <p>10.4 You have hidden, misreported, or reported fraudulent information - in such cases We have the right to deny insurance indemnification;</p> <p>10.5 In case of fulfilling the Our entire obligations (from the moment of full indemnification);</p> <p>10.6 The death of the policyholder, except in the case where the ownership of the Insured Property is transferred to another person;</p>

<p>10.8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;</p> <p>10.9. თქვენ ან მოსარგებლეს გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს განაცხადოთ უარი სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულებაზე. უარის შესახებ უნდა შეგვატყობინოთ წერილობით გაუქმებამდე 14 დღით ადრე. თქვენ დაგაბრუნდებათ პოლისი-ხელშეკრულების ვადის შეწყვეტის მომენტისათვის არსებული გამოუმუშავებელი პრემია პროპორციულად, ერთი თვის შესაბამისი პრემიის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში თქვენ აგინაზღაურდათ ზარალი, დაზღვევის გაუქმებისას თქვენ ვალდებული ხართ დაფროთ პრემია სრულად;</p> <p>10.10. ჩვენ უფლება გვაქვს ცალმხრივად გავაუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც გამოგიგზავნით შეტყობინებას მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS) გაუქმებამდე 14 კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი პრემია დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გამომდინარე (გაუქმების თარიღისათვის) ნაწილის გამოკლებით;</p>	<p>10.7 On the basis of a court decision;</p> <p>10.8 In other cases provided for by the legislation of Georgia;</p> <p>10.9 You or the beneficiary have the right at any time to cancel the insurance policy - You must notify Us in writing 14 days prior to cancellation. You will be refunded the unearned premium by the time of the termination of the policy, deducted one month premium. In case if You have been indemnified for damage during the insurance period, the You are liable to pay full premium;</p> <p>10.10 We have the right to unilaterally cancel the insurance policy-agreement, about which We will send You a notification via short text message (SMS) 14 calendar days before the cancellation. In such case, We will refund unearned premium, if any (as of the cancellation date);</p>
<p>11. რისკის ხარისხის ცვლილება</p> <p>11.1. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედებისას თქვენ და/ან მოსარგებლე ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ გარემოებათა ნებისმიერი ისეთი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაზღვეული რისკის ხარისხზე, მაგალითად: დაზღვეული ქონების გადაცემა იჯარით/გაქირავებით ან გირაოთი, უფლებების გადასვლა სხვა პირზე, კანონით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, დაზღვეული ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება ან განადგურება, დამოუკიდებლად იმისა, ექვემდებარება თუ არა მიღებული ზარალი ანაზღაურებას ამ პოლისის მიხედვით, სადაზღვევო პოლისში მითითებული ქონების გამოყენების მიზნის შეცვლა, შენობების (ნაგებობების) დანგრევა, კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია ან გადაიარაღება;</p> <p>თქვენი ან მოსარგებლის მიერ წინამდებარე პუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე და მოვითხოვოთ სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა;</p> <p>11.2. სადაზღვევო რისკის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ პოლისი ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან გაზრდილი რისკის შესაბამისი დამატებითი პრემიის გადახდა;</p> <p>თუ თქვენ ან მოსარგებლე უარს აცხადებთ ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე, სადაზღვევო ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას რისკის გაზრდის მომენტიდან;</p> <p>11.3. დამოუკიდებლად იმისა, მოხდა თუ არა რისკის ხარისხის გაზრდა, ჩვენ გვაქვს უფლება დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევამოწმოთ დაზღვეული ქონების მდგომარეობა და ღირებულება, ასევე თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.</p>	<p>11. Change of Risk Quality</p> <p>11.1 During the validity term of the insurance agreement, You and/or the beneficiary must immediately notify Us of any change in circumstances that may affect the degree of risk, such as: rent/pledge of Insured Property, transfer of rights to another person, violation of statutory safety regulations, significant damage to or destruction of Insured Property, notwithstanding whether the damage is subject to reimbursement or not under this policy, change of the purpose of using the property specified in the insurance policy, destruction, reconstruction or re-equipment of the building(s);</p> <p>In the case if You or the Beneficiary fails to comply with the requirements of this clause, We have the right to refuse indemnification and request the termination of the insurance agreement;</p> <p>11.2 If We are notified of increased risk, We may request amendments to the terms of the policy or payment of an additional premium; if You or the Beneficiary refuse to change the terms of the agreement or the payment of an additional premium, the insurance agreement shall be terminated since the moment of receiving the notification thereon;</p> <p>11.3 Regardless the increased risk, We have the right during the validity period of the insurance agreement to inspect the condition and value of the Insured Property, as well as the degree of authenticity of the provided information.</p>
<p>12. თქვენი მოვალეობები, ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დროს</p> <p>12.1. დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ჩვენ 24 საათიან ცხელ ხაზზე 032 2 605111, რათა გავიწიოთ შესაბამისი დახმარება და კონსულტაცია. აღნიშნული შეტყობინება წერილობით უნდა იყოს დადასტურებული სადაზღვევო შემთხვევის დაფიქსირებიდან 72 საათის განმავლობაში;</p> <p>12.2. ჯეროვნად შეასრულეთ ჩვენი წარმომადგენლის მითითებები დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;</p> <p>12.3. გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია მესამე პირთა ვანდალური, ქურდობის, ძარცვის, გატაცების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში დაზღვეული ქონების მიმართ;</p> <p>12.4. მიიღეთ გონივრული და ხელმისაწვდომი ზომები სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით; არ გასწიოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული რაიმე ხარჯები ჩვენი თანხმობის გარეშე;</p> <p>12.5. შეინარჩუნოთ დაზიანებული ქონება ჩვენი წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორმც ის აღმოჩენილ იქნა სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, რათა მოგვეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დავათვალიეროთ და გამოვიკვლიოთ დაზიანებული დაზღვეული ქონება, გამოვიძიოთ მიზეზები და ზარალის სიდიდე;</p> <p>12.6. სპეციფიკიდან გამომდინარე მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია და ოფიციალური ცნობები/დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან და/ან სხვა კომპეტენტური დაწესებულებიდან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით (პოლიცია, სახანძრო, მეტეოროლოგიური სამსახური და ა.შ.);</p>	<p>12. Your Obligations – actions in case of an insurance event</p> <p>12.1 Notify Us immediately of an insurance event through Our 24-hour hotline 032 2 605 111 in order to provide You with appropriate assistance and consultation. The above notice must be confirmed in writing within 72 hours from the moment of registering the insured accident;</p> <p>12.2 You shall follow the instructions of Our representative in respect of the insurance accident;</p> <p>12.3 Call the patrol police in case of revealing the facts of vandalism, theft, robbery, extortion by third parties relating to the Insured Property;</p> <p>12.4 In case of the insurance event, take reasonable and affordable measures to terminate, reduce damage or preserve the Insured Property; Do not disburse any costs for the insured accident without Our preliminary consent;</p> <p>12.5 Keep the damaged property before arrival of Our representatives in the same way as found after the the insurance accident, to allow Us to inspect/analyse the damaged Insured Property, identify the causes and determine the volume of loss;</p> <p>12.6 Based on the specifics, Us additional information and documents regarding the insurance accident from the subsequent authorities (police, fire or metrological centre, etc.);</p>

<p>12.7. იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ ასრულებთ ზემოთმოყვანილ პირობებს, ჩვენ უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ ზარალი;</p> <p>12.8. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო სართულზე და ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო დაზღვეული რისკითა და შენობის სახურავის დაზიანებით, ჩვენ არ ავანაზღაურებთ ნებისმიერ მომდევნო ზარალს, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება. ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ წარმოგიდგინოთ ჩვენ სახურავის შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტები (აღნიშნული მომსახურების/ მასალის მიღებაზე თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები);</p> <p>12.9. თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ ჩვენი წარმომადგენლის მხარდაჭერა და ყოველმხრივ შეუწყობთ მას ხელი ზარალის გამოძვევი მიზეზის დადგენის პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ დამდგარი ზარალი, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული;</p> <p>12.10. პუნქტ 12-ში მითითებული მოვალეობები ვრცელდება ასევე მოსარგებლეზე, რომლისთვისაც ცნობილია მის სასარგებლოდ სადაზღვევო ხელშეკრულების დადების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება.</p>	<p>12.7 If case of failure to comply with the above conditions, We are entitled not to indemnify for the damage;</p> <p>12.8 If the insured property is located on the top floor of the building and the Insurer has indemnified for damage arising from covered risks related to roof damage, the Insurer will not provide compensation for subsequent damage or loss if the damaged roof has not been repaired following the initial compensation. In such case, the Policyholder is obliged to submit to the Insurer all evidences of roof repairs (payment receipts on purchase of such service/ materials for repairs);</p> <p>12.9 You are obliged to provide support to Our representative and assist him in every way in the process of determining the cause of the loss, otherwise We have the right not to indemnify for the incurred loss, including that caused by an insured event;</p> <p>12.10 The obligations set forth in paragraph 12 will also apply to the beneficiary who is aware of the insurance agreement signed in his/her favour, or otherwise We reserve the right not to indemnify for any loss.</p>
<p>13. ჩვენი ვალდებულება:</p> <p>13.1. შევისწავლოთ დაზღვეული ქონების განადგურების/დაზიანების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ რაც თქვენგან მივიღებთ შეტყობინებას 12.1 მუხლის შესაბამისად;</p> <p>13.2. დაზღვეული ქონების დათვალიერების შემდეგ ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის დასადასტურებლად და ზარალის დასათვლელად;</p> <p>13.3. თქვენ მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ჩვენ ვალდებული ვართ განვახორციელოთ ზარალის შეფასება;</p> <p>13.4. ზარალის ანაზღაურება მოხდება ორივე მხარის მიერ დარეგულირების აქტზე ხელმოწერიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში;</p> <p>13.5. ზარალის ანაზღაურების მიზნით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დაზიანებული ქონების აღდგენა/ შეკეთება/ შენაცვლების ხარჯი გადავიტვიტოთ პირდაპირ იმ სარემონტო კომპანიის ანგარიშზე, საიდანაც წარმოდგენილი იქნება დამდგარი ზარალის კალკულაცია (გამოკლებული იქნება პოლისში აღნიშნული ფრანშიზა და გადაუხდელი პრემია);</p> <p>13.6. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები არის მოსარგებლე, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შემცირდება ფრანშიზის, გადაუხდელი პრემიის და დღგ-ს გამოკლებით;</p> <p>13.7. იმ შემთხვევაში თუ პირობების თანახმად შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, წერილობით შეგატყობინოთ უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით 1 (ერთი) თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ცნობილია შემთხვევის ყველა გარემოება;</p> <p>13.8. ჩვენ შეგვიძლია სადაზღვევო ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:</p> <p>13.8.1. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი თქვენი ან მოსარგებლის უფლებამოსილებაზე მიიღოთ სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო შემთხვევის რისკებთან შესაბამისობაზე და მის ნამდვილობაზე. ანაზღაურების ვადა აღნიშნულ შემთხვევაში გადაიწვევს, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზღვეულ ქონებაში თქვენს ან მოსარგებლის ინტერესს;</p> <p>13.8.2. შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სადაზღვევო შემთხვევაზე.</p>	<p>13. Our Obligations:</p> <p>13.1 Investigate the causes and circumstances of the destruction/damage of Insured Property within no more than 3 working days after Your notification as per 12.1;</p> <p>13.2 Upon inspection of the Insured Property, the Insurer is authorized to request additional documentation to identify the fact of the insurance event and calculation of loss;</p> <p>13.3 After the Policyholder provides additional documentation, the Insurer shall assess the loss caused by the damage;</p> <p>13.4 The insurance indemnity will be issued within 14 calendar days of signing the settlement act by both parties;</p> <p>13.5 For the purpose of insurance indemnification, on the basis of a written agreement, the expenses for restoration/ repair/ replacement of damaged property (subject to deductible specified in the policy and the unpaid premium) will be transferred by Us directly to the account of the renovation company that will provide Us with a calculation of the incurred damage;</p> <p>13.6 If the recipient of the insurance indemnity is the beneficiary, the amount of insurance indemnity shall be reduced, in line with deductible, unpaid premium and VAT;</p> <p>13.7 In the event a case is not subject to indemnification, as provided in the Terms and Conditions of the Insurance, We will inform You about refusal of payment of the insurance indemnity in writing, within 1 (one) month after all requested documents have been submitted and all circumstances regarding the case have become known;</p> <p>13.8 We may defer insurance if:</p> <p>13.8.1 There is a reasonable doubt about Your or the Beneficiary's rights to obtain the insurance indemnity, or about matching the insurance event with the declared risks or its authenticity. The time limit of indemnification shall be postponed with subsequent time necessary for submission of the relevant documentation, confirming Your interests or of the Beneficiary in respect of the Insured Property;</p> <p>13.8.2 In case if the authorities of internal affairs have opened a criminal case related to the Insurance accident.</p>
<p>14. მესამე პირთა მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე უფლებების გადმოსვლა (სუბროგაცია)</p> <p>14.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, ჩვენზე გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც თქვენ ან მოსარგებლეს გაქვთ იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე;</p> <p>14.2. თქვენ ან მოსარგებლე ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;</p>	<p>14. Right of Subrogation</p> <p>14.1 After insurance indemnification the subrogation right which You or the Beneficiary have against the person responsible for damage, is transferred to Us within the limits of the paid amount;</p> <p>14.2 You or the Beneficiary shall have to provide Us with all the documents, evidences and information necessary to use in respect of the subrogation right transferred to Us against the responsible third party;</p>

<p>14.3. თუ თქვენ ან მოსარგებლემ უარი განაცხადეთ ჩვენთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ავანაზღაურეთ ჩვენ ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა თქვენი ან მოსარგებლის ქმედებით, მაშინ ჩვენ ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება გვეძლევა მოვითხოვოთ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.</p>	<p>14.3 If You or the Beneficiary refuse to transfer to Us the subrogation right against the person responsible for the damage which We have indemnified or using of such right has become impossible through Your or the Beneficiary's actions, then We shall be relieved from payment of the insurance indemnification and shall have the right to demand refunding of the paid amount of indemnity;</p>
<p>15. ორმაგი დაზღვევა</p> <p>15.1. თქვენ და მოსარგებლე ვალდებული ხართ წერილობით შეგატყობინოთ ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვეულ ქონებაზე სხვა სადაზღვევო კომპანიებთან. ამასთან თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ქონება, სადაზღვევო რისკები და სადაზღვევო თანხების სიდიდე;</p> <p>15.2. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაზღვეულ ქონებაზე მოქმედებდა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ ჩვენ ვიხდით თანხას, რომელიც პროპორციულია ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულების სადაზღვევო თანხისა და ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების საერთო თანხას შორის.</p>	<p>15. Double Insurance</p> <p>15.1 You and the Beneficiary shall notify Us in writing of all insurance agreements concluded in respect of the Insured Property with other insurance companies. You must specify the name of the other insurance company, the property insured by them, the insurance risks and the amount of insurance sum;</p> <p>15.2 If, at the time of the insured accident, the Insured Property was also covered by another insurance agreement with similar risks, then We will pay an amount which will be proportional to the ratio of the insured sum of the agreement concluded by Us and to general sum of all insurance agreements.</p>
<p>16. ინფორმაციის მიწოდება</p> <p>16.1. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა შეტყობინება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია თქვენ მოგეწოდებათ ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და განაცხადში/ პოლისში მითითებულ მისამართზე/ ადგილსამყოფელზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით;</p> <p>16.2. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებული გაქვთ ელექტრონული ფოსტის მისამართი ან/და ტელეფონის ნომერი, შეტყობინება ჩაბარებულად/მიღებულად ითვლება თქვენთვის მისი გამოგზავნის დღეს;</p> <p>16.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეტყობინება გეგზავნებათ დაზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულისაგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება თქვენ მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია თქვენ მიერ;</p> <p>16.4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია მისამართის, ადგილსამყოფელის, ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ არ იქნა შეტყობინებული ჩვენთვის, ჩვენ მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია / შეტყობინება ჩაითვლება თქვენ მიერ მიღებულად;</p> <p>16.5. წერილობით შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება თუ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, მას ჩაიბარებს დამზღვევეთან/ მოსარგებლესთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი. თუ შეტყობინების ჩაბარებაზე უარს აცხადებს, მხარე, მისი ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი, მაშინ შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.</p>	<p>16. Notification</p> <p>16.1 All notices and/or other information under the Insurance Agreement will be sent to You by any means of communication, including by e-mail and/or by SMS to the mobile number and/or by sending information/notices to the address specified in the application/policy;</p> <p>16.2 If You indicate Your e-mail address and/or mobile number in the insurance application/policy, the notice will be deemed received on the day it was sent to You;</p> <p>16.3 If the notice is sent to an email and/or mobile number other than that stated in the insurance application/policy, the notice will be deemed received by You on the day of its receipt if the notice has been confirmed by You;</p> <p>16.4 In case if We are not notified immediately of any change in address and/or location and/or email and/or mobile number or other contact information, any information/notices sent by Us will be deemed received by You;</p> <p>16.5 A written notice shall be deemed delivered if it is delivered to the address specified by the party by any capable member of the family living with the insurer/beneficiary. If the party or any capable member of his/her family refuses to deliver the notice, then the notice shall be deemed delivered.</p>
<p>17. ხელშეკრულებაზე უარის თქმა</p> <p>17.1. თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებით გადასახადის გარეშე, ჩვენთვის დანართი #1-ით განსაზღვრული „დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის“ ჩვენს იურიდიულ მისამართზე გაგზავნის ან ჩვენს ფილიალებში ფიზიკურად მიწოდების გზით;</p> <p>17.2. თუ თქვენ არ გამოვიგზავნით მოთხოვნას დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ თქვენ უფლება გაქვთ ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის გასვლის შემდეგ ისარგებლოთ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით;</p> <p>17.3. ხელშეკრულების 17.1 პუნქტით განსაზღვრული უფლების არსებობა, არ გათავისუფლებს თქვენ სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებისგან;</p> <p>17.4. თუ თქვენ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვთ ჩვენთან ან/და ჩვენს პროვაიდერ კომპანიასთან დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღებას, მაშინ შესაბამისი მომსახურების მიღებით თქვენ კარგავთ ხელშეკრულების 17.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;</p>	<p>17. Refusal of the Agreement</p> <p>17.1 You have the right to refuse the Agreement within 14 (fourteen) days after signing it, without any penalty or additional tax, by sending Us the "Application for refusal of the Insurance Agreement" specified in Appendix #1 to Our legal address or by physically delivering it to Our branches;</p> <p>17.2 If You do not send a request to Us on the refusal of the insurance Agreement, then You are entitled to exercise the rights established by the Agreement after 14 (fourteen) days have passed from the signing of the Agreement;</p> <p>17.3 Existence of the right specified in the clause 17.1. of the Agreement does not release You from the obligation to pay the premium in accordance with the terms of the Agreement;</p> <p>17.4 If You, prior to the expiration of the right to refuse of the Agreement, directly and clearly requested from the Insurer and/or Our provider company, taking into account the terms of the Insurance Agreement, to receive services, then by receiving the</p>

	<p>corresponding service, You will lose the right to refuse from the Agreement specified in clause 17.1. of the Agreement;</p>
<p>18. დამატებითი პირობები</p> <p>18.1. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლისები და დაზღვევის პირობები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;</p> <p>18.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ყველა საკითხი, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება;</p> <p>18.3. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ხელმოწერამდე არსებული ნებისმიერი სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია;</p> <p>18.4. თქვენ აცხადებს, რომ როგორც თვითონ ასევე, მოსარგებლე ან/და მესაკუთრე პირდაპირ და არაპირდაპირ არ მონაწილეობს რამე უკანონო და დანაშაულებრივ საქმიანობაში რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას, მათ შორის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში. მის მიერ გარიგების დადების მიზანი არ არის ტერორიზმის ან/და სხვა ნებისმიერი უკანონო საქმიანობის დაფინანსება; ასევე ის პირები ვის სასარგებლოდ იდება გარიგება, შეტანილი არ არის ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან/და არანაირად დაკავშირებული არ არიან მათთან ასევე არ მონაწილეობენ არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში;</p> <p>18.5. სანქციების პირობა - ხელშეკრულების ფარგლებში მზღვეველი არ არის ვალდებული გასწიოს სადაზღვევო მომსახურება და მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურება ან გასწიოს რამე სარგებელი, თუ ასეთი მოთხოვნის/ანაზღაურების გადახდა ან ასეთი სარგებლის უზრუნველყოფა მზღვეველს დააყენებს გაეროს რეზოლუციებით ან სავაჭრო და ეკონომიკური სანქციებით, ევროკავშირის, საქართველოს, გაერთიანებული სამეფოს ან ამერიკის შეერთებული შტატების ადგილობრივი კანონებითა თუ რეგულაციებით (იმ პირობით, რომ ეს არ არღვევს რაიმე რეგულაციას ან კონკრეტულ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც გამოიყენება მზღვეველზე) განსაზღვრული სანქციის, აკრძალვის ან შეზღუდვის წინაშე;</p> <p>18.6. ჩვენ უფლებამოსილი ვართ უარი ვთქვათ სადაზღვევო მომსახურების განხორციელებაზე ან შევწყვიტოთ ამგვარი ურთიერთობა, თუ დაზღვეული/მოსარგებლე უარს აცხადებს ჩვენთვის „სავადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.</p>	<p>18. Additional Conditions</p> <p>18.1 The policies and Policy Wording issued under the Agreement shall constitute an integral part hereof;</p> <p>18.2 The Agreement is made and shall be interpreted in compliance with the laws of Georgia. Any other provision not stipulated hereby, shall be regulated by the laws of Georgia in effect. In case of termination of any of the clauses hereof as a result of changes in law, the rest of the clauses shall remain in force;</p> <p>18.3 After signing this Agreement any verbal or written arrangement (made before signing) between the Parties with regard to the settled issues shall be deemed void;</p> <p>18.4 The Insured states that neither the Insured nor the Beneficiary and/or Beneficiary Owner/Partner/Shareholder of the company participate, directly or indirectly, in illegal or criminal activity, which breaches any legal law, including, illegal income legalization, arms trade, drug trade or/and terrorism; The purpose of the settlement is not financing of terrorism or/any other illegal activity; None of their founders or beneficial owners, also the entities on the benefit of whom, this agreement is concluded, are not in the list of the terrorists or the persons supporting terrorism or/and are not connected to them by any means, also, do not take part in any unlawful activities;</p> <p>18.5 Sanctions Clause – The Insurer shall not be deemed to provide cover and shall not be liable to pay any claim or provide any benefit hereunder to the extent that the provision of such cover, payment of such claim or provision of such benefit would expose the Insurer to any sanction, prohibition or restriction under United Nations resolutions or the trade or economic sanctions, laws or regulations of the European Union, the local laws or regulations of Georgia, the United Kingdom or the United States of America (provided that this does not violate any regulation or specific national law applicable to the Insurer);</p> <p>18.6 The Insurer is entitled to refuse to provide insurance services or to terminate it if the Insured/Beneficiary refuses to the Insurer within the framework of the convention "On mutual administrative assistance in tax matters" of January 25, 1988 by multilateral agreement of the competent authorities (CRS MCAA) "On the automatic exchange of information on financial reports" or providing information based on the requirements established by the relevant agreement on the automatic exchange of information on financial reports between Georgia and the relevant jurisdiction.</p>
<p>19. დაზღვევის განახლება</p> <p>19.1. დაზღვევის მოქმედების ვადა გაგრძელდება იგივე პერიოდით, რაც დადასტურდება ჩვენ მიერ გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS) მეშვეობით (გარდა იმ შემთხვევის, თუ თქვენ წერილობით განაცხადებთ უარს დაზღვევის განახლებაზე ან დამადასტურებელი SMS არ იქნება გამოგზავნილი). განახლებული პირობები გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით;</p>	<p>19. Renewal</p> <p>19.1 Insurance period will be prolonged by the same period which will be confirmed via a short text message (SMS) sent by Us (unless You refuse renewing Your insurance in writing or without confirmation SMS). Conditions of renewed insurance terms will be notified to You by SMS;</p>
<p>20. დავების გადაწყვეტა</p> <p>20.1. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>20.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო</p>	<p>20. Dispute Settlement</p> <p>20.1 All disputes arising from the Insurance Agreement shall be settled by mutual agreement of the sides or - in case of absence of such consent - by legal proceedings in the courts under Georgian Jurisdiction;</p> <p>20.2 In case of disputes / disagreements related to the performance of this Agreement, the Parties, as well as the insured and the beneficiary, may apply to the Insurance Mediation</p>

<p>ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.</p>	<p>(Georgian Insurance Association) by telephone at 2555155 or at the following address: Tbilisi Mosashvili 24th Street, or email mediacia@insurance.org.ge. All expenses related to the process of insurance mediation of the Georgian Insurance Association are paid from membership fee of the Georgian Insurance Association of Georgia.</p>
<p>21. კონფიდენციალობის დაცვა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება</p> <p>21.1. ჩვენ და თქვენ ვალდებული ვართ არ გავახმაუროთ ხელშეკრულების ფარგლებში მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია (წერილობითი/ზეპირი), გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;</p> <p>21.2. ჩვენ უფლებამოსილი ვართ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თქვენი/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დავამუშაოთ მხოლოდ 21.4. პუნქტში განსაზღვრული მიზნებისათვის;</p> <p>21.3. ამ მუხლის მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (შემდგომში - „მონაცემები“) წარმოადგენს:</p> <p>21.3.1. მაიდენტიფიცირებელი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დაბადების თარიღი;</p> <p>21.3.2. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი;</p> <p>21.3.3. ფინანსური ინფორმაცია: სადაზღვევო პრემიის ოდენობა, კრედიტინფოში არსებული პერსონალური მონაცემები, საბანკო რეკვიზიტები (საბანკო ანგარიშის ნომერი);</p> <p>21.3.4. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული მონაცემები;</p> <p>21.3.5. ტვირთის ან ქონების შესახებ ინფორმაცია;</p> <p>21.3.6. მხარეთა შორის არსებული კომუნიკაცია: კომუნიკაციის განხორციელების თარიღები, საშუალებები, მიმოწერის/საუბრის შინაარსი, დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).</p> <p>21.4. ჩვენ უფლებამოსილი ვართ მონაცემები დავამუშაოთ მხოლოდ ქვემოთ მოცემული მიზნებისთვის:</p> <p>21.4.1. სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით;</p> <p>21.4.2. შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით;</p> <p>21.4.3. კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით;</p> <p>21.4.4. სადაზღვევო შეთხვევის დარეგულირების მიზნით;</p> <p>21.4.5. ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, მათ შორის, მომსახურების გაუმჯობესების, კვლევ(ებ)ის განხორციელების, მიზნით.</p> <p>21.5. ჩვენ ვალდებული ვართ თითოეული მიზნის პროპორციულად დავამუშაოთ შესაბამისი მონაცემ(ებ)ი, მონაცემთა მინიმუმის პრინციპის გათვალისწინებით;</p> <p>21.6. ჩვენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მიხედვით მონაცემებს ვამუშავებთ შემდეგი საფუძვლების გათვალისწინებით:</p> <p>21.6.1. განცხადების განსახილველად სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;</p> <p>21.6.2. ჩვენ მიერ ჩვენზე შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;</p> <p>21.6.3. ჩვენ მიერ საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;</p> <p>21.6.4. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;</p> <p>21.7. ჩვენ უფლებამოსილი ვართ სადაზღვევო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დავამუშაოთ თქვენი/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.</p> <p>21.8. ჩვენ უფლებამოსილი ვართ დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევ(ებ)ის მიზნით დავამუშაოთ თქვენი/მოსარგებლის/ უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები (სახელი და გვარი, პროდუქტი, ტელეფონის ნომერი, მიღებული მომსახურების ან დამდგარი ზარალის შესახებ ინფორმაცია). აღნიშნული მონაცემები შეიძლება გაზიარდეს მხოლოდ იმ კომპანიასთან, რომელიც ჩვენი დავალებით ატარებს კვლევ(ებ)ს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით;</p>	<p>21. Data Protection and Processing of Personal Data</p> <p>21.1. The parties are obliged not to publicize any information (written/oral) obtained within the framework of the agreement, except for the cases stipulated by the legislation of Georgia;</p> <p>21.2. The Insurer is authorized to process the personal data of the Policyholder/Insured/beneficiary/authorized driver, including special category data, only for the purposes defined in the Clause 21.4.;</p> <p>21.3. For the purposes of this article, personal data, including special category data (hereinafter - "data") are:</p> <p>21.3.1. Personal identification data: name, surname, personal number, insurance policy number, date of birth;</p> <p>21.3.2. Contact information: phone number, e-mail, legal and/or physical address;</p> <p>21.3.3. Financial information: amount of insurance premium, personal data in Creditinfo, bank details (bank account number);</p> <p>21.3.4. data related to the insured event;</p> <p>21.3.5. cargo or property information;</p> <p>21.3.6. Communication between the parties: dates of communication, means, content of correspondence/conversation, documentation (if any);</p> <p>21.4. The Insurer is authorized to process the data only for the following purposes:</p> <p>21.4.1. for the purpose of providing insurance services;</p> <p>21.4.2. in order to fulfill the obligation under the relevant agreement;</p> <p>21.4.3. in order to fulfill the obligation imposed by law;</p> <p>21.4.4. in order to process the insurance event;</p> <p>21.4.5. In order to protect legitimate interests, including improving services, conducting research(s);</p> <p>21.5. The Insurer is obliged to process the relevant data(s) proportionately for each purpose, taking into account the principle of data minimization;</p> <p>21.6. The Insurer processes data according to the Law of Georgia "On Personal Data Protection" (hereinafter - the "Law") taking into account the following basis:</p> <p>21.6.1. In order to consider the application for the purpose of providing insurance services, in accordance with subsection "k" of the first paragraph of Article 5 of the Law;</p> <p>21.6.2. In order to fulfill the obligation imposed on it by the insurer under the relevant Agreement, in accordance with subparagraph "b" of the first paragraph of Article 5 of the Law;</p> <p>21.6.3. In order to fulfill the obligation imposed by the legislation of Georgia by the insurer, in accordance with subparagraph "d" of the first paragraph of Article 5 of the law;</p> <p>21.6.4. In order to protect the legitimate interests of the insurer, in accordance with subparagraph "i" of the first paragraph of Article 5 of the Law;</p> <p>21.7. In order to improve the quality of insurance services, the Insurer is authorized to process the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary/authorized driver, including special category data;</p> <p>21.8. The Insurer is authorized to process the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary/authorized driver (name and surname, product, telephone number, information about received service or pending loss) for the purpose of research(s) related to insurance. The mentioned data can be shared only with the</p>

21.9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **ჩვენ** უფლება გვაქვს **თქვენი**/ მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი გავხადოთ მესამე პირებისთვის, მათ შორის, **ჩვენი** პარტნიორი ორგანიზაციებისთვის, გადამზღვევისთვის, პროვაიდერისთვის, კონტრაქტორისთვის, სადაზღვევო ბროკერისთვის/აგენტისთვის, **ჩვენი** საზედამხებდევლო ორგანო(ებ)სთვის ან/და სხვა კერძო ან საჯარო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით;

21.10. **თქვენი**/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის მოთხოვნის შემთხვევაში, **ჩვენ** ვალდებული ვართ გავასწოროთ, განვაახლოთ, დავამატოთ, დავბლოკოთ, წაშალოთ ან გავანადგუროთ მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

21.11. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **თქვენ** ადასტურებთ, რომ მიიღეთ სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების, მოცულობების, **თქვენი** და, არსებობის შემთხვევაში, **თქვენ** მიერ მითითებულ პირთა, როგორც მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებების შესახებ, კერძოდ, **ჩვენგან თქვენ** მიერ მითითებული პერსონალური მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა დამუშავების შესახებ გაცემული თანხმობის სრულად ან/და ნაწილობრივ გამოხმობაზე, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე;

21.12. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **თქვენ** ადასტურებთ, რომ მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემების მის მიერ **ჩვენთვის** მიწოდების საფუძველია მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება და ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლები მათ შორის, ნებაყოფლობითი თანხმობა სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში, **თქვენ** სრულად ხართ პასუხისმგებელი აღნიშნული მონაცემების **ჩვენთვის** გადაცემაზე;

21.13. **ჩვენ** ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ვამუშავებთ **თქვენი**/მოსარგებლის/ უფლებამოსილი მძღოლის პერსონალურ მონაცემებს დაზღვევის ხელშეკრულების დასადასტურებლად, ამავე გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით **ჩვენთვის** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

21.14. საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ/გადავამოწმოთ **თქვენი**/მოსარგებლის/ უფლებამოსილი მძღოლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პერსონალური მონაცემი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში.

company that conducts the study(s) according to the specific criteria on behalf of the Insurer;

21.9. For the purpose stipulated in the Agreement and to the extent necessary for the realization of this purpose, the insurer is entitled to make the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary/ authorized driver available to third parties, including partner organizations of the Insurer, reinsurer, provider, contractor, insurance broker/agent, supervisory body(s) of the insurer) and/or for other private or public organizations in order to fulfill the obligation stipulated by the legislation of Georgia and/or the Agreement;

21.10. At the request of the Policyholder/Insured/Beneficiary/Authorized Driver, the Insurer is obliged to correct, update, add, block, delete or destroy the data if they are incomplete, inaccurate, not updated, or if their collection and processing was carried out against the law;

21.11. By signing the Agreement, the Insurer confirms that he has received full information about the purposes and scope of data processing, his/her/its and, if any, the rights of the data subject(s) defined by the Georgian Law "On Personal Data Protection" of the persons indicated by him/her/it as the data subject(s), in particular, receiving information from the Insurer on the processing of the data of the personal data subject(s) specified by him/her/it, fully and/or partially revoking the consent given on data processing, correcting, updating, adding, blocking, deleting and destroying the data;

21.12. By signing the Agreement, the Insurer confirms that the basis for providing the personal data of the Insured/Beneficiary/authorized driver to the Insurer is to inform the data subjects and the above-mentioned legal bases, including voluntary consent for the purpose of concluding an insurance Agreement in favor of another person, and in the latter case, the Policyholder is fully responsible for the said transfer of data to the Insurer;

21.13. The Insurer acts within the scope of the powers granted by the legislation of Georgia and the Agreement and processes the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary/authorized driver for the conclusion of the insurance Agreement, for the fulfillment of the obligation under the same transaction, for the fulfillment of the duties assigned to the Insurer under the legislation of Georgia and in other cases established by the legislation;

21.14. In order to fulfill the obligation imposed by the legislation of Georgia, the Insurer is entitled to request/verify the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary (if any) in the National Public Registry Agency of the Ministry of Justice of Georgia, the State Services Development Agency, the Service Agency of the Ministry of Internal Affairs of the State of Georgia and other administrative bodies.

დანართი 1 / ANNEX 1

დანართი წარმოადგენს პოლისი „კომფორტი“-ს განუყოფელ ნაწილს
This Annex is the integral part of the policy “Comfort”

ავეჯისა და საყ. ტექნიკის ჩამონათვალი LIST OF THE FURNITURE AND HOUSEHOLD APPLIANCES	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი MAXIMUM LIMIT OF THE INDEMNIFICATION
მისაღები ოთახი და სამზარეულო / LIVING ROOM AND KITCHEN	
ტელევიზორი / TV	1 200 ლარი/GEL
სამეფული ავეჯი / A SOFA AND 2 CHAIRS	3 000 ლარი/GEL
კომპიუტერი / COMPUTER	1 000 ლარი/GEL
კედლის კარადა / WALL CABINET	1 500 ლარი/GEL
მაგიდა / TABLE	1 000 ლარი/GEL
დივანი / SOFA	800 ლარი/GEL
წიგნების თაროები / BOOKCASE	600 ლარი/GEL
სამზარეულოს კარადა / CUPBOARD	2 500 ლარი/GEL
გაზქურა/გამნოვი / GAS STOVE/STOVE HOOD	1 500 ლარი/GEL
მაცივარი / FRIDGE	1 500 ლარი/GEL
სტაციონარული სარკე / STATIONARY MIRROR	1 000 ლარი/GEL
აუდიო ტექნიკა / AUDIO TECHNIQUE	1 000 ლარი/GEL (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 500 GEL PER UNIT)
ფოტოაპარატი / CAMERA	700 ლარი/GEL
ლეპტოპი / LAPTOP	1 000 ლარი/GEL
საძინებელი ოთახი / BEDROOM	
საძინებლის კარადა / WARDROBE	1 300 ლარი/GEL
საძინებლის საწოლი / BED	1 500 ლარი/GEL
კომბო / NIGHT STAND	800 ლარი/GEL

აბაზანის მოწყობილობები / BATHROOM APPLIANCES

სარეცხი მანქანა / WASHING MACHINE	800 ლარი/GEL
საშხაპე / SHOWER ROOM	800 ლარი/GEL
აბაზანის სხვა ინვენტარი / OTHER INVENTORY OF A BATHROOM	500 ლარი/GEL

სხვა / OTHER

ჭაღები და განათების სისტემები / CHANDELIERS AND LIGHTING SYSTEMS	1500 ლარი/GEL (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 500 GEL PER UNIT)
ხალიჩები და ფარდები / CARPETS AND CURTAINS	2 000 ლარი/GEL (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 500 GEL PER UNIT)
მიქსერები/ბლენდერები/მიკროტალღური ღუმელები MIXERS/BLENDERS/MICROWAVE OVENS	1 000 ლარი/GEL (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 500 GEL PER UNIT)
ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები/ყავის აკარატები ELECTRIC MEAT CHOPPERS/COFFEE MACHINES	1 000 ლარი/GEL (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 500 GEL PER UNIT)
სკამები / CHAIRS	1 500 ლარი/GEL (მაქსიმუმ 200 ლარი ერთ ერთეულზე/MAXIMUM 200 GEL PER UNIT)
გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები) HEATING SYSTEMS (BOILER AND RADIATORS)	3 000 ლარი/GEL (ერთი რადიატორი მაქსიმუმ 500 ლარი/MAXIMUM 500 GEL PER RADIATOR)
კონდიციონერი / CONDITIONER	800 ლარი/GEL
უთო / თმის საშრობი / HAIR DRYER	600 ლარი/GEL (ერთი ერთეულზე მაქსიმუმ 300 ლარი/MAXIMUM 300 GEL PER UNIT)
მძვერსასრუტი / VACUUM CLEANER	600 ლარი/GEL

ავეჯის და ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით წინამდებარე დანართში მითითებულ ფასწარმოქმნას, თუმცა არ ავანაზღაურებთ დაზიანებული ტექნიკის/ავეჯის საბაზრო ღირებულებაზე მეტს სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის.

თქვენ ვალდებული ხართ მოგვანოდოთ დამატებით იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც გსურთ, რომ დაექვემდებაროს დაზღვევას და არ არის მითითებული წინამდებარე დანართში ან დანართში მითითებული ლიმიტი ნაკლებია დასაზღვევი ობიექტის რეალურ ღირებულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფლება უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან გავცეთ ანაზღაურება წინამდებარე დანართში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.

In case of damage to the furniture and techniques, we will be guided by the present pricing, but we will not indemnify the amount that exceeds the market price of the damaged technique/furniture set at the time of the insurance event.

You shall provide us with the list of the items you want to be the subject of the insurance but are not listed in this Annex or the limit specified herein is less than the actual price of the item to be insured. Otherwise, we are entitled to refuse the indemnification or issue the indemnification within the defined limit.

ხელშეკრულებაზე უარის თქმა:

- დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებით გადასახადის გარეშე, მზღვეველისთვის დანართი #1-ით განსაზღვრული დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის“ მზღვეველის იურიდიულ მისამართზე გაგზავნის ან მზღვეველის ფილიალებში ფიზიკურად მიწოდების გზით.
- თუ დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველს არ გაუგზავნის მოთხოვნას დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებიდან 14(თოთხმეტი) დღის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით.
- ხელშეკრულების ამ პუნქტით განსაზღვრული უფლების არსებობა, არ ათავისუფლებს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებისგან.
- თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა მზღვეველთან ან/და პროვაიდერ კლინიკასთან, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მომსახურების მიღება, მაშინ შესაბამისი მომსახურების მიღებით დამზღვევი/დაზღვეული კარგავს ხელშეკრულების ამ პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.

AGREEMENT REJECTION/TERMINATION

- The insurer/insured has the right to refuse the contract within 14 (fourteen) days after its signing, without any penalty or additional tax, by sending the "application for renunciation of the insurance contract" specified in Appendix #1 to the insurer to the insurer's legal address or by physically delivering it to the insurer's branches.
- If the insurer/insured does not send a request to the insurer to refuse the insurance contract, then the insurer/insured is entitled to enjoy the rights established by the contract after 14 (fourteen) days have passed from the signing of the contract.
- Existence of the right specified in the clause does not release the insurer/insured from the obligation to pay the insurance premium in accordance with the terms of the contract.
- If the insurer/insured, before the expiration of the right to refuse the contract, directly and clearly requested the insurer and/or provider clinic to receive services, taking into account the terms of the insurance contract, then by receiving the corresponding service, the insurer/insured loses the contract. The right to refuse the contract defined by clause.

დანართი # 1

დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადი

წინამდებარე განაცხადზე ხელმოწერით, ვადასტურებ, რომ, მე

_____ სახელი, გვარი, პირადი ნომერი

მსურს ვისარგებლო „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების განწესისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის შესახებ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის N18 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების განწესისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის“ მუხლი 4-ის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით და გთხოვთ, დაუყოვნებლივ გააუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება _____ და მის ფარგლებში გაცემული პოლისი _____

ნომერი

ნომერი

ხელმოწერა _____

თარიღი _____

ANNEX #1

Application to Reject Agreement

By signing the application, I hereby confirm that I

_____ Name, Surname Personal Number

Would like to use Article 4, Paragraph 1, Subparagraph B of the Decree N18 of April 3, 2017 of the head of the State Surveillance Service of Goergian Insurance on customer right protection instructions used by an insurer when providing insurance service and request immediate cancelation of the insurance agreement _____ and the policy _____ issued under it.

Number

number

Signature _____

Date _____